№ 196 1877

# ივერია

№ 196 1903

ექტემბერი 14, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 14, კვირა 1903 წ.

საქართველოს ხალხთმთავრობა ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგას „ივერია" აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით - 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს** დადგენილების თანახმად, კვირას, 14 სეკდემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, გარდახდილ იქმნება პარაკლისი, რათა მის იმპერატორებითს უმაღლესობას, დიდს მთავარს

## მიხეილ ნიკოლოზის ძეს

მიენიჭოს ავადმყოფობისაგან განკურნება და ჯანმრთელობა.

წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზე.

ჟირარდის მანუფაქტურების საქარ. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოზა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფ რდეზო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზები სათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონნერი და ლეიტცი

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ალაჯანოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან და წინანდებურად მიიღებს სქესობრივსა, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს.

მიხეილის პროსპექტი № 60. ტელ. 660.

(2—205—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლა

დაიწყებს მოქმედებას 15 სეკდემბრიდგან. მიიღებენ შეგირდებს, ყოველგვარ საკერავს საცვლებს და ქალთა კაბებს შესაკერავად.

ვერა, ოლგის ქუჩა, სახლი ა. გაბაშვილისა, № 3 (Габаевскій переулокъ).

(5—უ—4)

**გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი,** რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6. იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. 10—6—5

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საზებით ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილებისა 10—11 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საზებით 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ტფილისი

— ტფილისის სახაზინო პალატის გამგებელი ბ-ნი მიხაილოვი, რომელიც ორის თვით სხვაგან იყო წასული თავის კერძო საქმეებისა გამო, ტფილისს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

— დაბრუნდა ტფილისს სამსახურის გამო სხვაგან წასული პროკურორი ტფილისის სამოსამართლო პალატისა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

— ქ. გორის დასავლეთ ნაწილს, რომელსაც მდინარე ლიახვის ყოველ გაზაფხულს და წყალდიდობას ანადგურებდა, ეხლა კი მგონი ეშველება. კავკასიის მთავრობას გადუწყვეტია კედელი გაევლოს მდინარის ნაპირს. საჭირო თანხა, 25,000 მანეთი, ამრიგად უნდა შესდგეს: 18000 მან საერო თანხიდან გადიდო და უკვე მიეცა ტფილისის გუბერნატორს; 1,000 მანეთი სასულიერო უწყებას შემოაქვს, რადგან ეფიქრება, სასულიერო სასწავლებლის შენობა წყალმა არ წაილეკოსო; 300 მანეთს ქალაქი გამოიღებს და 5,000 მან. რკინის გზის სამართველომ უნდა მისცეს.

— ტფილისის ქალაქის მოურავს მოუხსენებია ტფილისის გუბერნატორისათვის, რომ ქალაქის გამგეობის მოხელე დ შადინოვი გვსურს დავნიშნოთ ქალაქის სასწავლებლების ნივთიერ საჭიროებათა გამგებლადო, ამასთანავე სამასწავლებლო კომისიის საქმის მწარმოებლადაც იქმნებაო. გუბერნატორმა აცნობა ქალაქის მოურავს, საგუბერნიო საკრებულომ უკანონოდ დაინახა მაგ თანამდებობის დაწესება, რადგან გამგებლობა ნივთიერის ნაწილისაც ყოველ სკოლის ზედამხედველ-მასწავლებელს ეკუთვნისო. ხოლო საერთო გამგებლობა ყველა სასწავლებლებისა ნივთიერად ხელის შეწყობისა სამასწავლებლო კომისიის ვალიაო.

— დაფასდა უძრავი ქონებანი ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქის ქალაქებისა. ბათომში 17,193,109 მანათის უძრავი ქონება ყოფილა, ქუთაისში —6,818,445 მ., სოხუმში—4,840,660 მ., ფოთში—2,293,310 მ., ართვინში—1,000,190 მ., ზუგდიდში 655,825 მ. და ოზურგეთში—701,740 მან.

— ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მოხარკეთა საზოგადოების გამგეობას, ყოველი საშუალება იხმარეთ და მოკრიბეთ მოხარკე მოქალაქეებზე დარჩენილი გადასახადები, რომელიც 40,000 მანეთს შეადგენსო.

— ტფილისის მოხარკეთა საზოგადოების რწმუნებულების კრება დანიშნულია 18 სეკდემბრისათვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

— ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თხოვნა სასწავლებელში ინსპექტორის თანამდებობის დაწესების შესახებ და დაადგინა, სთხოვოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ნება დართოს სასწავლებელში ინსპექტორის თანამდებობის დაწესებისა. შუამდგომლობა მზრუნველს უკვე გაეგზავნა.

— მკითხველებმა უკვე იციან, რომ არტემ კარაგეზოვმა ვერაზე საბურთალოსკენ განიზრახა ცხენის რკინის გზის გაყვანა. ამ გზის გაკეთება 30,000 მან. დაჯდება. რადგან გზა ერთ ადგილას ქალაქის მიწაზედაც გაივლის, გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, წინააღმდეგნი ხომ არა ხართ კარაგეზოვს გზის კონცესია მიეცესო. გამგეობამ განიხილა ეს მოწერილობა და, რადგან ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელ-შეკრულობის ძალით, ახალ რკინის გზის გაკეთების ნება იმის მეტს არავის მიეცემა, დაადგინა, შეეკითხოს ამ საქმის შესახებ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს.

— 12 სეკდემბერს ნავთლუღის სადგურზე საბარგო მატარებელი დასჯახებია სავარჯიშო მატარებელს. ორივე ორთქლმავალი დაზიანებულა; რამდენიმე ვაგონი დამსხვრეულა; მემანქანე ალიფახოვი, ტეხნიკოსი ნინიკო, უფროსი კონდუქტორი სარჩიმელია და კონდუქტორები ბაულინი და პლოტნიკოვი მცირედ დაშავებულან. მატარებლების მიმოსვლა ცოტა ხანს შეჩერებულა.

— სადგურ ყარაკლისზე 11 სეკდემბერს სამი ბარგისა დაერთი სამგზავრო ვაგონები აშვებულან და გაქანებულან სადგურ შაგალისკენ. ხიდზე სამი ვაგონი რელსებს გადასცდენია, ხიდიდან გადავარდნილა და დამსხვრეულა. უბედურება არა მომხდარა-რა.

### ქუთაისისა და მოწამეთის ტაძრების რესტავრაციის გამო.

„ივერიის" № 169 დასტამბულია წერილი ქუთაისის ტაძრის რესტავრაციის შესახებ, რომელშიაც გაკვრით მოხსენებულია, ვითომც მოწამეთის ძველი ტაძრი ვიღაც მთხუპნავს დაუმახინჯებია. თუ ეს ცნობა შეეხება წინანდელ მხატვრობას, სწორედ რომ მართალია: ამ ორმოციოდე წლის წინად ვიღაც ბერძენსა თუ ნაბერძნალს ეკკლესიის კედლებზედ ნაცნობი ბერები, გენერლები და გულგაღეღილი ქალები გამოეჭიმა. მნახველი ან იღიმებოდა ან ბრაზმორეული გარედ გარბოდა, რომ მეორედ მოწამეთის ტაძარში ფეხი აღარ შეედგა. ის მხატვრობა მოიშალა ეპისკოპოზის ლეონიდეს დროს და მხატვარმა ანდრეევმა გაამშვენიერა ეკკლესია. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები განსვენებულის საბინინის წიგნიდგან გადახატა. იქმნება მცოდნე კაცს არ მოეწონოს არც საბინინისა და არც ანდრეევის ხელოვნება, მაგრამ აქ სიტყვა „მთხუპნავი" მაინც მოსატანი არ არის. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მოწამეთის ეკკლესია არც ძველია და არც ნაშენობით არის თვალსაჩინო.

რაც შეეხება ქუთაისის ტაძრის რესტავრაციას, „ივერიაში" დასტამბული ამბავი მართალია: ეკკლესიის დახატვა მიუნდვიათ ბ-ნ ნიშანიანისათვის...

ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ ჩვენ ფრიად ცოტა დახელოვნებული მხატვრები გვყავს და, თუ გვყავს, ისინიც საეკკლესიო მხატვრობას არ ეტანებიან, ასე რომ იძულებულნი ვართ ჩვენის ეკკლესიის გამშვენიერება მივანდოთ უცხოელსა (ბ-ნი ნიშანიანი ოსმალელია), არამართლმადიდებელს, რომელსაც ქართულის მხატვრობისა და გემოვნებისა არა გაეგება რა.

ქუთათური.

### ხაჩმაზის დრამის გამო.

მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ ზოლოტოვის ქალის საქმე. ეხსომებათ აგრედვე ამას წინად მომხდარ დრამის,—ანტონოვის ქალის,—ამბავი, რომელიც გაზ. „Баку"-დგან იყო გადმობეჭდილი. ახლა ამ საქმის შესახებ გაზ. „Приазовскій Край"-ში წერილია დაბეჭდილი თვითონ ხაჩმაზის სადგურის უფროსის ჟერნოვისა, სადაც ეს ვაჟბატონი თავს მართლულობს ამ საქმეში ბრალდების თავიდგან ასაცილებლად. აი რასა სწერს ეს კეთილშობილი „ჩინოვნიკი" ზემოხსენებულს გაზეთში.

„როდესაც მე ნაშუაღამევის პირველ საათზედ გავიარე მესამე კლასის დარბაზშიო,—რიხით ბრძანებს „კეთილშობილი" ჟერნოვი,—ჩემთან მოვიდა მსახური გაივორონსკი და მითხრა,—ანტონოვის ქალმა ოთხჯერ გკითხათ თქვენაო. მე შევნიშნე, რომ ანტონოვის ქალი მელოდებოდა. გუნებაში არავითარი ცუდი განზრახვა არა მქონია და ამიტომ ვუთხარი მსახურს გაივორონსკის, რომ მოეყვანა ანტონოვის ქალი ჩემს ოთახში, ან სადგურის ბაღში. ანტონოვის ქალი გამოვიდა სადგურიდგან მსახურთან ერთად, რომელსაც უთხრა: „მე აქ მითვალთვალებენ, კვალში მდევნიანო". მსახურმა გაივორონსკიმ უპასუხა,—რაკი გდევნიან, მაშ ქუჩიდგან წავიდეთ და მერე ბაღში შევიდეთ იქიდგანაო. მე ბაღში ვიყავი, როდესაც ანტონოვის ქალი და გაივორონსკი შემოვიდნენ და პირველად შევხვდი იქ; დავსხედით ბაღში სკამზედ მე და ანტონოვის ქალი; არ გასულა ორი-სამი წუთი, რომ ბაღში გაჩნდა ჩვენგან 5 ნაბიჯზედ

ვილაც ორი კაცი, რომელთაც ჩემთვის სთქვეს: „ეჰ არიანი“, და მიიმალნენ; როგორც მერე აღმოჩნდა, ესენი ყოფილიყვნენ მესამე კლასის ბუფეტის მოსამსახურენი, რომელნიც ბუფეტის პატრონს გამოეგზავნა ჩემთვის დასაზვერავად. დილამდე თურმე არა ისინი, მაშინვე მივიღე თავი ქალს დაწყევლი ჩემს, ანტონოვის ქალი-კი სადგურზედ წავიდა. ანტონოვის ქალი 2—4 წუთზედ მეტს ხანს, დაბრუნდა და არა სადგურზედ, ქალი დაჯდა სადგურის ბაქანში სკამზედ და თითონვე შეარია ბაქანზედ გამოვლილ ტელეგრაფისტი ყარაჯაევი, რომელიც იმ საღამოსათვის ადრე გაეცნო თურმე, და თვითონვე მიეტ წანაგდებდა, რომ ყარაჯევს წაეყვანა იგი თავის სადგომში. როდესაც დილა ადრიანად გამოვედი სადგურზედ ჩემის სადგომიდამ, გავიგე, რომ ბუფეტის პატრონს სადრაძესა და ალაპოვს წაეყვანათ თავისთან ანტონოვის ქალი და გაეცნობინათ ჩემი, ვითომც მე გამეუპატიურებინოს იგი. ამის გამო მათ მოეწვიათ ხაჩმაზის სოფლის მწერალი და დაეწერა,—განაგრძობს ეს საჩივარი... შე-რალს თავის მხრივ შეეშინებინა ანტონოვის ქალი, რომელსაც თურმე პასპორტი არა ჰქონდა და დაეთანხმებინა ჩემს წინააღმდეგ ოქმის შედგენაზედ. ეტაპით გაგზავნას ემუქრებოდა თურმე. ამასთანავე ანტონოვის ქალისათვის ბუფეტის პატრონს ალაპოვს ეჩუქებინა 13 მანეთი, რომ უფრო ადვილად დათანხმებულიყო საჩივრის შედგენაზედ. ყველა ამის შედეგი იყო ის უგრამატიკოდ დაწერილი საჩივარი ჩემს წინააღმდეგ, ვითომც მე გამეუპატიურებინოს ქალი; ეს საჩივარი დასწერა ხაჩმაზის სოფლის მწერალმა და საფიქრებელია, რომ დასწერა თვით ანტონოვის ქალის ჩაგონებით, რომელმაც მისთვის 13 მანეთი მიიღო საჩუქრად“...

ჰხედავთ, როგორ იმართლებს თავს ქერნოვი? მაგრამ რა სიმართლის სუნიც ასდის მის თავის მართლებას, რომ სადგურის მე-3 კლასის ბუფეტის პატრონთ მოისყიდეს ანტონოვა ქალი და ამნაირად შეადგინეს საჩივარი ჩემზედაო, ამას დავინახავთ შემდეგიდგან: ალაპოვსა და სადრაძეს სადგ. ხაჩმაზს ბუფეტი აქვთ მესამე კლასისა; ქერნოვს ამ ბუფეტიდგან ნისიად უხარჯავს, დისლებია 80—90 მანეთამდე და მერე უარი უთქვამს პატრონთათვის ფულის გადახდის შესახებ; ნისიის დავთარშიაკი თურმე ყველაფერი წაუშლია! საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ რაკი დავთარში ყველაფერი წაშლილი აღმოჩნდა, საქმე წააგეს ბუფეტის პატრონებმა; ამით გაბრაზებული სადრაძე და ალაპოვი დროს ეძებდნენ, რომ როგორმე, თუ ქონებრივად ვერ გადაახდევინეს ნისია, ფიზიკურად მაინც ეზღვევინებინათ, ისე რომ რაიმე დაღი დაემჩნიათ. ეს დროც მალე მოვიდა: ერთხელ ხაჩმაზის ერთ-ერთ სასტუმროში მოასწრეს რაინდს ქერნოვს და კარგა ლაზათიანად მილეწეს რამაც კიდევ სასამართლომდე მიაღწია, მაგრამ ამ ხანად პასუხის გებაში მისცეს ბუფეტის პატრონები.

აი, ასეთი პირადი ანგარიშები აქვს ქერნოვს ბუფეტის პატრონებთან და მთელი თავისი ბრალდება სურს მოახვიოს თავზედ ამ ორს უბრალო კაცს და სარგებლობს იმ გარემოებით, რომ არც სადრაძესა და არც ალაპოვს არ შეუძლიანთ პასუხი გასცენ ქერნოვს გაზეთის საშუალებით, არამც თუ რუსულს გაზეთში, არამედ ქართულშიაც-კი! ე. ი. ქერნოვი ჰსარგებლობს მათის გაუნათლებლობით!

საუცხოვო ფარ-ხმალია დანაშაულობის სხვის თავზედ მოსახვევად!... მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება,—რამ აიძულა ქერნოვი უსათუოდ „პრიაზოვსკი კრაი“-სათვის მიემართნა?! განა არ შეიძლებოდა მიემართნა უფრო გავლენიანისა და გავრცელებულის გაზეთებისათვის? თუ თავის მართლების დამტკიცება შეეძლო, რატომ არ მიჰმართა ერთ-ერთ ამ გაზეთთაგანს, რომ უფრო ნათელ-მოსილი ყოფილიყო მისი სიმართლე?..

დიმ. ჯაში

# ჩვენებური ამბები

**პანკისის ხეობა** (თიანეთის მაზრა). წარსულ მარიამობისთვის 12-ში ახალმა მაზრის უფროსმა პ. ს. ლეონტიევმა ინახულა ჩვენი პანკისიც. სკოლასთან, შუა სოფელში, მთელი ხეობის ხალხი იყო შეკრებილი დასახვედრად და საჭირო დარიგების მისაღებად. ხალხს საყვედური უთხრა მათ შორის გავრცელებულ ქურდობისათვის და დაარიგა, მოესპოთ ეს საზიზღარი ჩვეულება. ურჩია ორის მამასახლისის მაგიერ ერთი იყოლიეთ და ცოტაოდენი ჯამაგირიც დაუნიშნეთ, რადგანაც უფასო მამასახლისი არას აკეთებს და რომ უნდოდეს გააკეთოს რამ, სოფლების ერთი-მეორეზე დაშორებულობისა და ათასნაირ სამამასახლისო საქმისა გამო მუდამ ცხენზე ამხედრებული მიდის და მოდის, ხოლო თავის სახლს-კი არაფრად არგიაო. ამაზე ხალხს კიდევ მოფიქრებისა და ურთი-ერთ შორის მოლაპარაკების დრო მისცა და დაბინდა, რომ სახლში დაითხოვა.

მეორე დილით ინახულა სკოლა და მამასახლისებს უბრძანა საჭირო შეკეთება სკოლის შენობისა; ინახულა აგრეთვე ეკლესია, პურის მაღაზია და საზოგადო კანცელარია, რომელიც სოფელს ქირით უჭირავს და არც ერთი მათგანი არ დაუწუნა.

შემდეგ ტბათანაში, თუშების საიგარაკო მთაში, გაემგზავრა და იმ ღამესაც იქ დარჩა. იქიდამ, უკან დაბრუნებისას, მოიკითხა ცხენების ოსტატები და ისინი კარგად შეტუქსა და შეაშინა; შემდეგ ცოტა ისაუზმა და ისევ თიანეთისაკენ გაემგზავრა.

ორიოდე კვირის შემდეგ მოვიდა ახლა ახალი ბოქაული დ. გ. თულაშვილი. ხალხმა, ამდენი რჩევა ჩიჩინით ორ სამამასახლისოს ერთად შაერთებაზედ ალბად შეიგნო და გადასწყვიტა ამ დიდის ხნის დაწყებული საქმის ერთხელ და სამუდამოდ დაბოლოვება. დიდი ხნისაო, იმიტომ მოგახსენებთ, როქ წინანდელი მაზრის უფროსებიც ცდილობდნენ და ურჩევდნენ ხალხს ამასვე, მაგრამ ხალხი გაიძახოდა ჩვენ ერთი მამასახლისი ვერ მოგვივლის და არც გვეყოფაო; იმას კი აღარა ფიქრობდნენ, რომ—სომხისა არ იყოს—იაფფასიანი ხორცი წვენს ვერ გააკეთებსო,—მუქთა მამასახლისები არაფერს აკეთებდნენ და იმისთვის არცა ჰყოფნიდათ. ჰო და ასე ძლივ-ძლიობით ჩამხვდარი ხალხი შეჰკრიბა ისევ ბ-ნმა თულაშვილმა, დაადგინა განაჩენი და მოაწერეს ყველამ ხელი. ამ განაჩენით—910 მ. უნდა გაიწეროს მთელმა ხეობამ 364 კომლმა, კომლზე 2 მ.50 კ.აქედამ 200 მ. მამასახლისს, 300 მ. სოფლის მწერალს, 248 მ. ორს იასაულს, 60 მ. კანცელარიის ქირად და 60 მ. მის „სტოროჟს“; იანვრამდე ორივე მამასახლისი უნდა იყოს და ის ფული, რომელიც იმ ხანამდე სამამასახლისოდ შეიკრიბება, ორთავემ შუა უნდა გაიყონ, ხოლო იანვრიდამ ერთი უნდა ამოირჩიონ.

ბ-ნმა თულაშვილმა ესევე წეს-წყობილება პირიქით თუშეთშიაც დაადგინა. ექვსი სამამასახლისო სამათ შეაერთა და ამავე ნაირად ჯამაგირები დაჰნიშნა.

წლეულ აქეთ პურისა და სიმინდის მოსავალი შარშანდელზედ ცოტა არ იყოს ნაკლებია. ლეწვას თითქმის მორჩნენ, სიმინდიც მალე გაიკრეფება; მაზანდა-კი ჯერ არც ერთისა არ არის გაგებული. სიმინდ-პურის მაზანდას აქაური ჩარჩ-მედუქნეები (ორი დუქანია) წინად ჩქარა გადასწყვეტავდნენ ხოლმე, მაგრამ წლევანდელისა კი ვეღარა გაიგესრა. ახალი მამასახლისების მეოხებით, ორმა უფრო მოზრდილმა სოფელმა პირი შეჰკრა და აქაურ დუქნებიდამ აღარასა ვაჭრობენ; შორ სოფლებიდამ კიდე სიმინდ-პური ადვილად ვერ მოაქვთ.

გლეხი ხალხის ცხენები თითქმის სულ გარეკეს ქისტებმა და ახლა მღვდელ დიაკვნებზე დადგა ჯერი. ამ ორიოდე კვირის წინად დიაკვანსაც მოჰპარეს გვერდიდამ ცხენი. შებინდებისას, მანამ დააბამდა და ბორკილს გაუკეთებდა უცებ დაიკარგა, როგორც შარშანდელი თოვლი. უკან გამოსყიდვას ძაან ეცადა, მაგრამ ვეღარას გახდა, ალბად ოსტატი ვაჟბატონები აღარ ენდნენ. ამ ხულად კიდევ ერთს ფშაველს მოჰპარეს ძროხა და ჯამაგირიანი მასახლისები თავ-გადაგლეჯილი დაეძებენ. ამ თვის პირველ რიცხვებში ილტოს მთებიდამ აქაურივე ფშავლისა გარეკეს კიდე ათი ცხენი; უკან პატრონი დაედევნა, მაგრამ მგელმა ბატკანი წაიღოს და უკანღა დაბრუნდება?

ქისტი-ჩობანი

# კავკასია

**ს. სარიყამიში.** საზოგადოდ წელს მხიარული ზაფხული იყო. ყოველ დღე საცეკვაო საღამოები, კონცერტები, წარმოდგენები იყო და თანაც მაკის ცირკიც ორი კვირით გვეწვია. მართალაც რომ დიდი მხიარულება-მოძრაობა იყო, მაგრამ ამნაირ მოძრაობას არავითარი ნაყოფი არ მოუტანია სარიყამიშელთათვის. სხვას რომ თავი დავანებოთ, ცირკმა ქმრებს ჯიბეები დაუცალიერა და ეხლა გაიძახიან: не стоитъ съ ними (бабами) связываться, მაგრამ ეხლა გვიანღაა თითზე კბენანი.

წარვიდნენ დრონი არშიყობისა, დაობლდა სარიყამიში, წავიდნენ საზაფხულოდ ჩამოსული ჯარები, მეავარაკენი, შეწყდა მუსიკის გრიალი, ტანცი-მანცი და „პარკში“, სადაც მოსეირნეთა ჯგუფს ვერ გაატანდი, ეხლა ერთ ადამიანსაც ვეღარ დაინახავთ; მოაკლდა ხალხი, მოაკლდა ზაფხულის სითბოც და ზამთრის ცივმა სიომ დაჰბერა.

საცაა სარიყამიშელთა ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება: მომეტებული ნაწილი იწყებს ქაღალდის თამაშს და ბახუსის გუნდრუკის კმევას.

ამ ცოტა ხანში ბევრი ცვლილება დაეტყო ამ სოფელს. ჩვენი პატარა ბაზარი, სადაც მიწით დახურული დუქნები გამოიყურებოდა, ეხლა შეიცვალა. ააშენეს ქვის მაღაზიები, სახლები და რიგიან ბაზარს დაამსგავსა. ხოლო ვაჭარია თავგასულობას არა ეშველა-რა; მოაქვთ ყარსიდან სხვა-და-სხვა ხილეულობა: ყურძენი, მსხალი, ვაშლი, საზამთრო, ნესვი და სხვა. მაგრამ თუ თავი მოძულებული არა გაქვთ, როგორა სჭამთ, დაჟეჟილ და დამპალს ხილს?! მასთან მამა-სისხლად ჰყიდიან. ჩვენი სანიტარული კომისია საღათოს ძილს მისცემია და კვირაში ორჯერ რომ დაათვალიეროს ბაზარი, მეტი არ უნდა, მაგრამ ეს ოხერი ძილი საქმეს აბრკოლებს.

4 ენკენისთვეს ყარსიდგან ფეხით გვეწვია უცხოელი მოგზაური მ. კრონი, რომელმაც ბევრი რამ გვიამბო თავის მოგზაურობის შესახებ. ღამე აქ დარჩა. მეორე დღეს, 5 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე გამოგვემშვიდობა და გასწია ს. კარაურგანისაკენ. იქიდან პირდაპირ არზრუმში აპირებს წასვლას და შემდეგ სპარსეთისაკენ.

დ. კარციძე.

# რუსეთი

მუშებისა და ხელოსანთა დამახინჯება-გახეიბრების საქმე ქარხანასა თუ ფაბრიკაში და პასუხის-გება ქარხანა-ფაბრიკის პატრონებისა მოწესრიგდა ახალ ი კანონით. სამწუხაროდ, ამ კანონმა ნაკლებად მიაქცია ყურადღება ამ საქმის გაჭიანურებას სამართალში. თითქმის წლიწადი უნდება სამართალი ამისთანა საქმების გარჩევას. „ხეიბრების ადვოკატებსაც“ ეს უნდათ. ნახევარი კუთვნილის ჯილდოსი და კიდევ მეტი იმათ ჯიბეში გადადის. რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ ამ სამწუხარო გარემოებასაც უნდა მოევლოს როგორმეო. ამისთანა საქმეები სასამართლომ უნდა გაარჩიოს სწრაფად და არ უცადოს ჯერსაო.

— ტეხნოლოგების საზოგადოებას შესწირა 10,000 მან. ინჟინ.-ტეხნოლოგმა კონოპატოვმა, ხოლო საზოგადოების თავსმჯდომარემ ინჟ.-ტეხნოლოგმა ტრუხმანოვმა—23,000 მან. საკუთარის სახლის ასაგებად.

— პეტერბურგის ქალაქის საბჭო ჰფიქრობს, ბაჟი დაადოს კერძო კაცთა ეტლებს.

— ტაგანცევის დედათა გიმნაზიას 20 წლიწადი შეუსრულდა მას აქეთ, რაც მიიღო უფლებანი მთავრობის გიმნაზიებისა.

— რუსეთსა და მონგოლთა შორის ვაჭრობის წარსამატებლად და გასაძლიერებლად, აგრეთვე მონგოლთა ქვეყნის შესასწავლად გადაწყვეტილია გაიგზავნოს განსაკუთრებული ექსპედიცია ციმბირის რკინის გზის ხარჯზე.

— ამ დღეებში პეტერბურგს ჩამოსულა ერთი სევასტოპოლის დამცველთაგანი, სამსახურსგარეშე მყოფი ფელდფებელი სელენგინის პოლკისა ივანე ვასილის ძე ზორინი, 96 წლის მოხუცი, რომელსაც გული შემოსილი აქვს ჯვარ-მენდლებითა, მათ შორის ოთხი წმ. გიორგის ჯვარი აქვს. სევასტოპოლს ომს გარდა ზორინი დასწრებია ომებს კავკასიაში; რამდენჯერმე დაუჭრიათ, ბრძოლაში ერთი თვალი გამოსთხრია.

# ფელეტონი

## შურდული

(საკვირაო გაზეთი)

### XXII

**ფელეტონი**

**იუდა.**

შურის-ძიებავ, შავო, ბნელო გულში ჩამეკარ,
თქვენ, ასპიტ-გველნო, ჩემის ცეცხლით გაიმსჭვალენით;
მომეცით შხამი .. ელვა—ჭექა, გრგვინვა-ქუხილ ო,
ჩემსკენ, აქეთ!.. ოჰ, ტარტაროზნო, დამეხმარენით!

—

სად არის მიწა?.. ჰოდ, გენიავ და ჯოჯოხეთო,
ჩემი სავანე სადა ჰპოვო, თუ არ შენს გულში?..
აღაგზნე ცეცხლი... გესლ-შხამ-ნავთი ზედ დააპკურე...
შავო ეშმაკო, მიდარაჯე უფსკრულთ-უფსკრულში!..

—

მაგრამ აგერ ხე!.. სირცხვილი თქვენ, ყველას, ვინც მდევნით!
თავს ჩამოვიღრჩობ, მოგიწამლავთ სიამოვნებას;
ხეს დავიტოვებთ, ხეს ბოროტსა, ხეს ცოდვით სავსეს...
ლეში დალპება, ჩემი მატლი არ მოგცემთ შვებას.

—

სალხმი თქვენდა, ადამისა შთამომავალნო!
იუდა მოკვდა! იგი შურით ველარ დაგვხოცავს...
დიახ, ის მოკვდა, მაგრამ ნეტავ გამაგებინა,
იმისი მატლი ჩვენ ხალხთ შორის ბევრი დაცოცავს?!.

ბ. ახოს-პირელი.

—

## ცხელ-ცხელი ამბები.

ამ დღეებში წავაწყდი ერთს გუნდს, რომლის წევრნიც ერთმანერთს ეცილებოდნენ „მიმართულებას“; თვითეულს თავისი თავი სხვა-და-სხვა სახელით მოენათლა; „მიმართულებათა“ სახელწოდება თავისებურად ესმოდათ, აი მაგალითად:

„ემანსიპატორი“—დამონავების მომხრე, ცოლის მქეჟავ-მზგვავი, რომლის აზრითაც ქალებს თავისუფლად ამოსუნთქვა „გააარშიყებს“ და ამიტომაც იგინი (ქალები) ჩაკეტილში უნდა იყოლიოთ.

„სოციალისტი“—თავის მოძმის სულის ამომხდელი, „ჯანგატეხილის“ ტყავის გამძრობი, აზრითაც დევნილ-ჩაგრულთ სულის ამოხდა, წაქცეულის წამოყენება, მეზობლის ხელის გამართვა დიდი უკანონობაა!..

„დემოკრატი“—ხალხის მტერი, სახალხო მმართველობის მოძულე და მდაბიო წოდების განვითარება-გამოფხიზლების მოწინააღმდეგე.

„რევოლიუციონერი“—ყრუ და მუნჯი, „ყოვლად ბრჯგუ“, „შეუგნებელი“ ყოველგვარი უწესო „წესრიგის“ შემგუებელი, მშიშარა, წუთით შემაღლებული ხმის ყურ მოჭრილი მონა-მორჩილი.

ასე და ამგვარად...

იქნება ესეც „მოდის“ ბრალია!

—

მაგრამ ეს რისას ბრალია, რომ შემოდგომა კარს მოგვადგა თუ არა, ტფილისის უსახლკარო, მოქირავნე, ღარიბმა მცხოვრებლებმა, სურთ იცოდნენ და არ იციან, რა საშუალებას მიმართონ, რომ უშვილოდ დარჩნენ.

შეკრებილის ცნობებიდან ვტყობულობთ, რომ ამის მიზეზი სახლის პატრონების მეტისმეტი თავაზიანი „გულკეთილობაა“, სახლის პატრონები ბავშვებიან ოჯახებს სახლებს არ აქირავებენ, - რა ჩვენი საქმეა, თუ რომელიღაც ღარიბლატაკს წვრილ-ფეხობა ჰყავს და დახმარებაც ეჭირვებაო?! ძალას ვინ ატანდა,—შვილები მოეჯოგებინათო!! ძლივს სახლის პატრონები გავხდით და ჩვენს ნებაზე არ გავაქირავოთო?! მერეც—თუ შარშანდელი და შარშანწინდელი ხუთ მანეთიანი ოთახი, წრეულს ათ-თორმეტ მანეთად ფასობს, ამაში ვის რა „დავი“ აქვსო?..

სახლის პატრონის ამ „კანონიერ“ მოქმედებას, როგორც შევიტყვეთ, ქალაქის „მამანიც“ ადასტურებენ: ისეთი ღარიბი როგორ იქნება, რომ თვეში 7—10 მანეთი ქირა ვერ გადაიხადოსო; ჰამა-სმა დაიკლონო; რამდენიმე ოჯახობა შეერთდნენ და სარდაფის ერთს ოთახში ერთად მოთავსდნენო; რა უშავს, თუ ღარიბთა სადგომები ჰაერ-შეხუთულია და შემზარავი სუნი ჰხრჩოლავსო?! ღარიბი ხალხი ყველაფერს შეჩვეულია, ამასაც გაუძლებს; თუ ვერ გაუძლო, ავად გახდა—„გარაცკოი ლეჩებნიცაში“ ჩაეწეროს, დაამტკიცოს, რომ ის მართლა ღარიბია, და მუქთად ვუწამლებთო...

კარგი რჩევაა, განა მკითხველო? ჯერ დაგასნეულო და მერე განგკურნო?!.

უსუფ-უმუთ-ოღლი.

—

## ტფილისი

— ამას წინად მოგახსენეთ, რომ ზოგიერთი ქალაქის ხმოსნები მთვარეზე წავიდნენ, სურდათ ტფილისში ჩამოეყვანათ „დამწვართ ნაუგეში“, მაგრამ არ გამოჰყვა. ეხლა ხმოსნებმა იმდღევანდელ კრებაზე გამოაქვეყნეს, რომ მთვარეზე ერთი ჯურა ხალხი ცხოვრობსო, სულ მუნჯურად ლაპარაკობენ, ჩვენ იმათი ვერა შევიგნეთ რა და იმათ ჩვენიო. ამიტომაც ხმოსანთა მისსიამ ვერა გააწყორაო. მაგრამ აღმოჩენა კი მაინც დიდი მოახდინეს. ვურჩევთ ჩვენებურს მუნჯებს მთვარეს მიაშურონ.

— ტფილისში იბეჭდება ერთ წიგნაკად „ტფილისის ლისტოკის“ თანამშრომლის Д. В—ъ-ს ნაჯღაბნები ამ სათაურით: „Прелести“. სრულს რეცენზიას შემდეგში განვუზიარებთ მკითხველებს, ამ ჟამად ვერ მოვასწარით, რადგან ერთობ ბრძნული „პრელესტებია“ და გაქექგამოქექაა საჭირო.

— ქუთაისიდან ეკითხებიან „შურდულს“: რა სჯობიან: უბრალო მეგაზეთეობა, თუნდ ეს მეგაზეთე „პონომარიც“ იყოს, თუ „პოდლოგობით“ აზნაურობის მიღებაო?—ძალიან ძნელი გადასაწყვეტი საგანია და შემდეგში გულდასმით მოველაპარაკები ქუთაისურებს და უტყუარს საბუთსაც წარვუდგენ ამ საგნის შესახებ.

—

## ჩვენებური ამბები.

ჰე, რაც გახდეს გახდეს, მეც დავიწყებ „შურდულის“ კორესპონდენტობას და გავაცნობ „პორტავოი გოროდ ფოთს“ პატივცემულ მკითხველთა. რადგან სიარულის დროს წაბორძიკება ვიცი, შეიძლება კორესპონდენტობაშიაც წავიბორძიკო და უნებლიედ ვაწყენინო ვისმე, მაგრამ ვეცდები კი, ფეხები გავიბოძიძგო.

ყოველ საქმეს თავიდგან იწყებენ და მეც თავიდგან დავიწყებ „პორტავოი გოროდის ფოთის“ გაცნობას; თავი და თავი აქ წვიმა გახლავთ. მარიამობის თვე ისე გავიდა, რომ სულ განუწყვეტლივ წვიმდა. ჩვენმა „მამებმა“ ეს კარგად იციან და ქუჩები გაგვიკეთეს. მართლა რომ მშვენიერი ქუჩებია. თავისუფლად შეიძლება უკალოშოდ სიარული, მხოლოდ ქოლგა და „პლაშჩი“ კი უნდა იქონიოთ. ქუჩაში სიარული კი შეიძლება უკალოშოდ, მაგრამ ეზოებში შესასვლელად კი ნავები უბიათ: ერთი ალბაზი წყალი ყველა ეზოში დგას. შიგ ფოთელი არტისტები—ბაყაყები—ჰყუნჰალობენ და უტკბობენ დამწყვდეულ ფოთელებს ყურთა სმენასა.

დროს გატარება ფოთში კარგად მიდის: „მაღალთაგანნი“ ბულვარში დასეირნობენ, „დაბალთაგანნი“ სადმე მინდორზე დაირა-ბუზიკის დაკვრით და ხტუნვით სტკბებიან. „ინტელიგენტ“—ახალ გაზრდობას ყოველისფერი ეხერხება: არტისტობა, ღვინის სმა და არშიყობა „ბარიშნებთან“ ხომ...

„ძველი-გაზრდობაც“ არ არის მიძინებული, ისინიც მუყაითად არიან ქაღალდისა, ნარდისა და სხვა თამაშობაში.

კოპლაძე.

—

**ზესტაფონი.** დიდი ხანია, რაც ზესტაფონის მონათვლაა განძრახული, მაგრამ არ იქნა და დღემდისინ შესაფერი სახელი და ღირსი ნათლია ვერ მონახეს მისმა გულშემატკივრებმა. აწ, როგორც იქნა, ამ საქმეს ბოლო მოეღო და ზესტაფონის მონათვლა სამუდამოდ გადაწყდა. ნათლობა დანიშნულია 1904 წ. ნათლიებად ასახელებენ გ. ჩ—ძეს, საზოგადოების მიერ ჯერ გაუცნობელს პ. —ლ—ძეს და ერთს „ინჟინერს“. ამბობენ ნათლობას დიდი საზოგადოება დაესწრება და ზესტაფონელებმა რომ სირცხვილი არ სჭამონ, ქუჩებს ეხლავე ასწორებინებენ ღორებს, რადგან ორ-ფეხა მუშა აქ ძლიერ ძვირობს, ხიდების შესწორება ღამის „დესეტნიკებს“ მიანდეს, განათება-სისუფთავე ბაზრის დეპუტატებს. ნათლობის დროს წესიერების დამცველად იქნებიან: ორი აზნაური, ნამდვილი აზ-

— ერთს ცნობილ ლიტერატორის ქალიშვილს პეტერბურგში შემდეგი საზიზღარი საქმე შეხვედრია: როდესაც ორლოვის ქუჩით მიდენილა, მას დაეტაკა ვიღაც მატანტალო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოჰკრა მუშტი სახეში და გაჰქრა. საბრალო ქალი უგრძნობლად გახდა, სახე უცბად დაუსივდა და კოპები დააჯდა. ამისთანა შემთხვევები თურმე პეტერბურგში „არ ახალია, ძველია"; ჯბის მტვრევა თითქმის მოდა გამხდარა.

— 11 სეკდემბერს აკურთხეს პეტერბურგში პირველი ღედათა საკომერციო სასწავლებელი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი**. როგორც დეპეშებმა გვაუწყა, ჟორესი ირწმუნება—საფრანგეთის სამხედრო კაცთაშორის გარდაწყვეტილია მოიმიზეზონ მაროკკოს სულთანის მეამბოხეთაგან შევიწროება და სამხედრო ექსპედიცია გაჰგზავნონ მაროკკოსაო.

ყოველ ეჭვს გარეშეაო—სწერს ჟორესი გაზ. „პტი რეპუბ"-ში, რომ სამხედრო ექსპედიციის მაროკკოს გაგზავნა საბოლოოდ გარდაწყვეტილიაო. პროექტი საფრანგეთის პროტექტორატობისა მაროკკოზედ უკვე შემუშავებულია. დასახელებულია და ბჭობაც ჰქონდათ ქალ. ტანჟერის მერის კანდიდატის შესახებ, რადგან ტანჟერი დამოკიდებულ მაროკკოს სატახტო ქალაქად უნდა გახდეს. ვიმეორებ, ყოველივე ეჭვს გარეშეა; მხოლოდ განცვიფრებით ვეკითხები ჩემს თავსა, როგორ მოჰხდა, რომ ასეთი დიდმნიშვნელოვანი და მასთანვე სახიფათო საქმე, რომელმაც შეიძლება სრულიად შეარყიოს ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, გადასწყდა მანამდე, სანამ პარლამენტი და ქვეყანა შეიტყობდა რასმე, რომ აეწონ-დაეწონათ, როგორც სარგებლობა, ისე ხიფათი ამ საშიშ განზრახვისა. ვიცი, რომ საქმეთა ვითარების გამო ევროპა იძულებულია დაიფლოს აფრიკა და საფრანგეთსაც ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ მოძრაობაში. ვიცი, რომ საფრანგეთის ეკონომიური და ზნეობრივი გავლენა უეჭველად უნდა მოეფინოს მაროკკოს, მხოლოდ ვგონებ, რომ დრო, კეთილგონიერება, მოხერხება და თანდათანობით განხორციელებული გეგმა მშვიდობიანად დაახლოვებისა უფრო უზრუნველჰყოფდა ჩვენს გავლენას მაროკოში, ვიდრე ომიანობა, რომლის მზადებასაც შესდგომია სამხედრო გამგეობა. ეს ომიანობა დიდად სახიფათო, დამლუპველი ცდა იქნება ჩვენთვის. ზნეობრივად დაგვამცირებს ყოველ მუსულმანის თვალში, რადგან ყველანი ზიზღით შეჰყურებენ მაროკკოს ეხლანდელ სულთანსა. მოვიგონოთ რომ ეს შედეგი ჩვენი ბრალი იყო და არც იაფად დაგვჯდომია. რამდენი ფული დაიხარჯა, რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი დრო დავკარგეთ ალჟირის დასაპყრობად, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი 3 მილიონსაც არ აღემატებოდა და მდებარეობაც, საზოგადოდ, ვაკე ჰქონდა. მაროკკო კი ერთი სამათ უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ერთნახევარჯერ უფრო ვრცელია ალჟირზე და მიუვალ მთებითაა მოცული.

ადვილად მისახვედრია, რომ ამ ქვეყნის დაპყრობას დასჭირდება რამდენიმე წელიწადი, 200,000 ჯარი და რამდენიმე ასი მილიონი ფულად. ამიტომ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს. ხმა ავიმაღლოთ და შევსძრათ ქვეყანა, რათა ყოველსავე სინათლე მოჰფინონ და საფრთხეში არ მოჰყვნენო.

**ბულგარია**. როგორც გაზ. «დაილ. ტელეგრ.»-ის კორესპონდენტი იუწყება სოფიიდგან, ბულგარიის მთავრობას უკანასკნელ ნოტაზედ პასუხი რუსეთისა, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიისაგან უკვე მიუღია. სამივე სახელმწიფო აცხადებს,—ბულგარიის სამთავრო უკეთეს სამსახურს გაუწევს მაკედონიასაც და ბულგარიასაც, თუ განზე დადგება და საქმეების მოწყობას დიდ სახელმწიფოებს მიანებებსო. თუ ბულგარიამ თავისი არ მოიშალა და ომი აუტეხა თსმალეთს, იცოდეს, რომ არც ერთი დიდი სახელმწიფო არ მიეშველება, რა გინდ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც ჩავარდესო.

# ნარკვევი

ვინმე იგნატი ლედინი მუსაიფობს გაზ. „ნოვოსტში" მოსწავლე ახალგაზდობის შესახებ. გზა და გზა იხსენიებს ყმაწვილობას, პანსიონებს, ბურსებს, სადაც სემინარიელები ებრძოდნენ ეკონომს, რიგიანი საჭმელი გვაჭამეო. და როცა თურმე ეს ეკონომი ცოტა უკეთესის სადილით გაუმასპინძლდებოდა, დაუწყებდნენ ეკონომს ქებას, აიტაცებდნენ ჰაერში და ხელით აქანავებდნენ, მერე უცებ გაუშვებდნენ და ეკონომს ძირს ზღართანი მოჰხვდებოდა ხოლმე.

მაინც ძრიელ საჭიროა ვიზრუნოთ მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვისაო, თორემ მომავალი ისეთის ხალხის ხელში ჩავარდება, რომელნიც დასნეულებულნი, ჯანღონეს მოკლებულნი იქმნებიან და იმათგან რა ხეირს უნდა მოელოდეს ქვეყანაო.

ჩვენი ქალაქი, მაგალითადაო,—განაგრძობს ავტორი მუსაიფისა,—მზაა ათი მილიონი გადაჰყაროს რომელისამე სულდურ და დიდ-კაცურ, სრულიად უსარგებლო რამისათვის, აი, თუნდა კამენოოსტროვის პროსპექტის გაფართოებისათვის და აბა ბევრი გააკეთა იმ მხრივ, რომ მოსწავლენი შიმშილით სნეულდებოდნენ უსმელ-უჭმელობით?!

უსმელ-უჭმელობა-კი მეტად ძნელია მოზარდ მოსწავლეთათვის. „Голодное брюхо къ ученію глухо"-ვო, სიღარიბე გულს უხაგრავს ადამიანს, ხოლო შიმშილი სიღარიბეზედ უარესია. შიმშილი სხავრავს კიდეც გულსა აბორიტებს კიდეც, ჰქლახავს ხორცსაც და სულსაც, ჰბადავს გალიუცინაციას, დანაშაულს... შიმშილი გადაგვარებისა და გადაშენების წინამორბედია...

—

ბ-ნი ომეგა ახასიათებს „ოდ. ფურ."-ში ახლანდელ განათლებულ კოლუპაევებსა და რაზუვაევებს და მოგვითხრობს ერთს ამბავს, რომელიც ლ. ტოლსტოის შეეხება.

ერთხელ ტოლსტოისთან მივიდნენ თურმე ორი სტუდენტი-ტეხნოლოგი და შემწეობა სთხოვეს ვიდაც ავადმყოფ ხელოსნისათვის.

დიდებულმა მწერალმა თავაზიანად მიიღო სტუდენტები, გადასცა დიდი შესაწევარი და გამოთხოვებისას ასე უთხრა:

— თქვენ ჯერ ახალგაზრდები ხართ. თქვენს გულს შეუძლიან სიყვარულითა და სიბრალულით აენთოს ავადმყოფის მუშაკის დანახვაზედ. მაგრამ გავა დრო, შემბრალებელი სტუდენტები გადიქცევით მრისხანე ინჟენერებად და, ვინ იცის, რამდენი ცრემლი დაჰქცარონ თქვენის წყალობით იმათ, ვის სასარგებლოდაც ახლა შეწირულებას ჰკრეფავთ!..

ეს ამბავი გავიგონეთ ჩვენ ერთ-ერთ იმ სტუდენტისაგან, რომელნიც მივიდნენ ჩვენს სასიქადულო მწერალთან შეწირულებისათვის. მომბე მაშინ უკვე ინჟენერი იყო და შაქრის ქარხანაში მსახურებდა. ჯამაგირი 2000 მან. ჰქონდა წელიწადში. ხელოსანნი და მუშაკნი აღმერთებდნენ, როგორც ხატს, ისე ღოცულობდნენ... მაგრამ მაშინვე იბადებოდა მის არსებაში მცირე ნიშანი კოლუპაევისა, სისხლის მწოველისა. რამდენისამე წლის შემდეგ სწორედ ეს ინჟენერი იღებდა უკვე ხუთჯერ მეტს ჯამაგირს. მის წინაშე ქუდს იხდიდნენ ასნი და ასსზედ მეტნი. ისე ეშინოდათ, იმისი როგორც ღვთის რისხვისა, თან შიშით ეჯავრებოდათ და დღე არ გავიდოდა, რომ ასსა და ორასს ხელქვეითს ზურგი უკან დასძღვით და თრევით არ მოეხსენებინათ.

დიაღ, ის ინჟენერი ახლა ნამდვილი „კულაკი" იყო, რომელსაც თავისს განსაკუთრებულ ხელობად მიაჩნდა გამოეწურნა წვენი ჭირხლისა და გამოეწოვნა სისხლი თვისთა ხელ ქვეითთაგან. იყო «კულაკი» დიპლომიანი და თან მშვენივრად ჰქონდა შესწავლილი თხზულებანი ლასალისა, მარქსისა, ბერნშტეინისა,—ერთის სიტყვით, განათლებული ტიპი იყო «კულტურით მოსილ თბობასი».

## სამეცნიერო შენიშვნა

მეჩნიკოვის მიერ აცრილ შიმპანზეს კიდევ ახალი ნიშნები გამოაჩნდა ათაშანგისა.

ამას წინად მკითხველებს ვაცნობეთ ახალი სამეცნიერო ამბავი, რომ განთქმულმა მეცნიერმა ილია მეჩნიკოვმა მაიმუნს-შიმპანზეს აუცრა ათაშანგის საწამლავი და შიმპანზეს აცრილ ადგილას მუწუკი გამოაჩნდა, რომელსაც, სპეციალისტების აზრით, ათაშანგის სიმსივნის ნიშნები ჰქონდა. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა მაშინვე იმ აზრს დაადგა, რომ მაიმუნის ათაშანგის საწამლავის აცრა მხოლოდ მაშინ იქნება ნათლად დამტკიცებულიო, როდესაც, სიმსივნის გარდა, გამოაჩნდება ათაშანგის სხვა ნიშნები, ისეთი, რომელსაც მედიცინაში ეძახიან „ათაშანგის მეორე ხანის" ნიშნებს. 3 ენკენისთვეს (ახალი სტილით) ილია მეჩნიკოვმა ქალაქ ბრიუსელში სამეცნიერო კონგრესზედ ამ საგნის შესახებ წაიკითხა მოხსენება.

მეჩნიკოვმა მოახსენა კრებას, რომ ოც და ათის დღის შემდეგ, როდესაც აცრილ შიმპანზეს პირველად გამოაჩნდა მუწუკი, სხეულს სხვა-და-სხვა ნაწილებზედ დააყარა წითლად, პირველად მხოლოდ ოთხ ადგილას, შემდეგ გაუმრავლდა; ყოველ ამ გვარ დაყრილს გარშემო წითელი არშია აქვს, ხოლო შუაგულში-კი ქერქი, რომლის ქვეშ ცოტაოდენი სითხეა. დამსწრე სპეციალისტებმა გაშინჯეს რა შიმპანზე, დარწმუნდნენ, რომ ეს ახალი ნიშნები გამოწვეული იყო ათაშანგის საწამლავით.

ამავე დროს შიმპანზეს დასივებული ჰქონდა თითქმის ყველა ჯირკვლები და ელენთა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ეს დიდებული აზრი მეჩნიკოვისა განხორციელდა, რასაც ფრიად დიდი შედეგი მოჰყვება მთელის კაცობრიობისათვის.

ექიმი ბადრიძე.

# ბიბლიოგრაფია

ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედამოსვლისაგან, 625—632 წ. ფასი ერთი აბაზი.

ამ ახალს წიგნს, ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმის მიერ გამოცემულს, მღვდელი პ. კარბელაშვილი შემდეგ საყურადღებო ცნობებს დასძენს, სხვათა შორის:

ესე სასულიერო მოთხრობა სავსეა საზოგადო საისტორიო ცნობებით; დღემდე ვიცოდით რამდენსამე ხელნაწერში, მაგრამ ერთში თავი აკლდა, მეორეში ბოლო. სრულიად დაცული მოთხრობა ჩვენ ვიპოვეთ ცაგერის სამღვდელ-მთავრო ტაძრის მშვენიერ მეტაფრასში. ამიტომ, დაიბეჭდა ეს მოთხრობა 1042 წ. ტყავზედ ხელნაწერ სტოდიერიდგან*) უმეტ-ნაკლებოდ და ცაგერის მეტაფრასთან განსხვავებათა აღნიშვნით, რ ადგან ეს მოთხრობა ორჯერ უთარგმნიათ ქართულს ენაზედ. ჯერ თარგმნილია X საუკუნეში ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის დიდის არსენისაგან, როგორც გვამცნებს ჩვენი მუზეუმის ხელნაწერი მარხვანი, № 431, სადაც ყველიერის კვირიაკის საკითხავთ ბოლოს არშიაზედ აწერია ხუცური ასომთავრულით: „თ̃ე (თეოდორე) სტოდელი თარგმნილი არსენისაგან".

ხოლო მეორეთ (ახლად) სთარგმნა წმ. გიორგი მთაწმინდელმა: „ლოცვა ყავთ, წმ. მამანო გიორგისთჳს მთაწმინდელისა წინამძღურისა, ვისა მოიწინენ სწავლანი ესე სულთა განმანათლებელნი, ნეტარისა მამისა თეოდორე აღმსარებელისა სტუდიელთა მამასახლისისა თქმულნი. დიდითა გულსმოდგინებითა და ფრიადითა ხარკებითა და მადლითა მამისა ევთიმისითა ვთარგმნე წ̃ჲ ესე წიგნი მე გლახაკმან გიორგი ახლად მთაწმიდას ქართველთა მონასტერსა. შრომისათჳს ლოცვა ყავთ, წ̃ნო მამანო. ხოლო ითარგმნა მიხედ მეფობასა, ქრონიკონსა სჲბ. დიდებას ღ̃თსა უ̃კე ა̃ნ". (იხ. 253 ფ.) ქრონიკონი სჲბ. უდრის 1042 წ.

ცაგერის მეტაფრასის მოთხრობა ჩვენ მიგვაჩნია არსენ კათალიკოზისაგან X საუკ. თარგმნილად.

ცაგერის მეტაფრასში (145 გვ.) ვკითხულობთ: „ღ̃ისა შეწევნითა სძლო მას (ხუასროს) ჰერაკლე და ურიცხჳ სიმრავლე მოსრა ერისაგან სპარსთასა და ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი მისნი დაჰხსნა და ოკრნა, და ტაძარნი და ბომონნი დაარღვივნა". არსენ კათალიკოზის მიერ შედგენილს წმ. ნინოს „ცხოვრებაში" 48 გვ. ვკითხულობთ: „...გამოვიდა მეფე ჰერაკლე და შეიერთნა ქართველნი და განგებითა სამეუფოჲთა შევიდა სპარსეთად და ყოველი სპარსეთი შემუსრა, და ტაძარნი და ბომონნი მათნი დაამხუნა და ხუასრო მეფე შეიპყრა..."

1042 წ. ხელნაწერის მოთხრობაში

*) იხ. საეკკლ. მუზ. ხელნაწერი, № 500, ხოლო ნაკლი შეივსო ცაგერის მეტაფრასიდგან.

---

ნაური და არა მაძიებელნი.

მართლა, სახელად არქმევენ: „მატრაბაზ-პოდლოგისტ-დანოსჩიკის ქალაქსა". თითო ნათლიამ თითოსახელი უწოდა.

ყვირილელი.

—

**სოფ. ლიახვ-პირი** (შუა ქართლი). თქვენმა უმორჩილესმა მონამ, ამ სტრიქონების დამწერმა ერთ კუდიან დედაბრისაგან უჩინ-მაჩინის ქუდი ითხოვა...

ხან დავქროლავ მერანის უმალესად, ხან კუს ნაბიჯით დავცოცავ. ყველგან უჩინრად მაქვს ბინა.

დიდი ხანი არ არის, რაც ერთს სოფელში ცხელ-ცხელი ამბების მადანს მივაგენ და დროებით აქ მოვიკალათე. მერწმუნეთ, აქაურს უხეირობას საჯაროდ გამოვამზევებ და თვით „მიკუნჭულ ბედნიერებასაც" მწარედ „შურდულს" ვსტყორცნი.

ეს მესამე წელიწადია, რაც ბ-ნმა №-მა მთავრობას სკოლისათვის შენობა: მისცა, ოღონდაც მასწავლებლად მე დამნიშნეთო. (გესმით? მასწავლებლადაო!) მართლაც „პროტექციის" ძალით გაამწესეს აქ მასწავლებლად.

მთელი სოფელი ყალხს შედგა: არ გვინდა ეგ „უჩიტლად", ნაწოწიალი და უსწავლელიაო, მაგრამ...

„პანჩუხა მედოლეე" დარჩა მაინც მასწავლებლად.

გლეხობა დღესაც გაიძახის: არ გვინდა მისი შენობა, არც მისი „უჩიტლობა"! ჩვენ შენობასაც გავაკეთებთ და მასწავლებლადაც ნასწავლ კაცს მოვიწვევთო. მაგისთანა დამტვრეული რუსული ხომ მამასახლისიანთ ტეფანემაც იცისო...

მართალია გლეხობა, სრული მართალია!!.

რებუსი.

**ნარევ-ნაკვეს-გასართობი.**

ქართული სიმღერა.

(ვუძღვნი ჩაქო-ბალახანის ახალგაზრდა ქართველებს).

ქართველი და შენახვა?
აბა, რა სათქმელია!
ბარემ ერთად შევსჭამოთ,
რაც რომ შესაჭმელია?!.
ნუ მოიწყენ, ნიკოჯან,
შემოვსძახოთ „დელია"!

—

ვა, რა თავში ვიხალოთ
წიგნი, კალამ, მელანი?!.
ამას არ სჯობს,—გადავკრათ
„კახური" და „მელანი"?!
ტაშ, ტუშ! გოგიჯან,
შენთანა ვართ ყველანი!..

—

ქართულ ჟურნალ-გაზეთსა
სახლში ნუ გავატარებთ,
არღანს, დუდუკს, გიტარას
კი სულ თან დავატარებთ!
ვის რა უნდა, ოტიავ?..
ჩვენ ამით დროს ვატარებთ!..

—

ცხრა მთიდგან მოთრეულმა
გვლანძღოს, ხმას არ გავიღებთ;
მისგან ცხვირში ცემასა
დიდ ჯილდოთაც მივიღებთ...
ამას ვინ დაგვიჯერებს?
აბა რა სათქმელია!..
ბიჭებო, მოილხინეთ,
შემოსძახეთ „დელია"!

—

მოძმეს „ღვთის წყალობისთვის"
ყურის ძირში გავადებთ,
შემდეგ ფეხით მივთელავთ,
მივბრუგნით და მივაგდებთ.
ტაშ, ტუშ! კრიკაძე,
ვინ დაგვძრახავს ამაზე?..

—

ქართველი და შენახვა?
აბა, რა სათქმელია!
ბარემ ერთად შევსჭამოთ,
რაც რომ შესაჭმელია?!..
ასე უნდა ცხოვრება...
აბა დელი, დელია!

ცოცხი.

—

## გამოცანა

ოჰ, რა გაიძვერაა,
რა თვალთ-მაქცი, ნაბია!!.
ორ ფეხაა, ერთ თავა
და ცხრა ენა აბია;
ლაპარაკობს და სწერავს,
რა არ დაუჯლაბია?!..
გამოიცანით: საჭმელი,
ცეცხლია თუ ქვაბია?!

ბ. ოჯახ-კეტიანი.

—

ზაფხულის ღამე იყო. სურამის „პარკში" სამხედრო მუსიკა უკრავდა, „პარკი" გატენილი იყო ხალხით. ზოგი ცეკვავდა, ზოგი ბანქოს შეექცეოდა ფარდულებში, ზოგიც დასეირნობდა.

ბაღის ერთ კუთხეში თავი მოეყარა ექვს ყმაწვილ ქალს და ერთ ვაჟს. ქალნი თვის მხოლოობით კავალერს ხან წკეპლასა სცემდნენ, ხან აქეთ-იქით უქაჩავებდნენ. კავალერიც სამაგიეროს უხდიდა, იყო ერთი კისრის ტეხა.

ამ დროს თავს წამოადგათ ერთი ხანში შესული „კნიაჟნა", რომელმაც მწარე ღიმილით უთხრა კავალერს:

— პავლეჯან! არ მეგონა... ერთობ ადრე დაგიწყია...

პავლემ გაიკრა ჯიბეს ხელი, ამოიღო საათი, დახედა და „კნიაჟნას" უპასუხა:

— თქვე დალოცვილო, რიღასი ადრეა, აგერ ნაშუაღამევის პირველი საათი სრულდება... მხოლოდ... თქვენი „დინჯი სათით" რომ ვიარო, მაშინ ხომ მეც თქვენსავით დამიგვიანდებაო..

ცოცხი.

—

## ქართულ თეატრში

ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ეკითხება ყმაწვილ ქალს, რომელიც პირველადაა ქართულ თეატრში.

— როგორ მოგწონთ ეს არტისტი?
— ოჰ, მშვენიერი თვალები აქვს.
— სხვაფრივ?..
— ისე, რაღა...
— მესხიშვილის თამაშობა გინახავთ?
— არა, თუმცა ძალიან აქებენ.
— თვითონ ეგაა მესხიშვილი.
— მართლა?!. ოჰ, რა მშვენიერებაა, რა თვალებია? Просто роскошь!..

—

## დ ე პ ე შ ა

(შურდულის დეპეშათა საავგენტო)

**ბალახანა**. კრივაძის, ნახდალიანიძისა და სანჩალიანის მეთაურობით დაარსდა ახალი საზოგადოება „დოქს-უსუნე". მეთაურთა პირადი ღირსებანი სრულს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საზოგადოება მკვიდრად მოიკიდებს ფეხსა ბაქოელ ქართველთა სანუგეშოდ.

**ვანქის-უბანი**. „ცნ. ფურ"-ს იშვიათი პუბლიცისტი მოევლინა—ბ-ნი გან-ი: მსოფლიო პოლიტიკის ვითარების შესახებ. გან-ი ბრძანებს,—საქმეები მეტად აიწეწა, ალბად ვიღაც ფარულად ჰმოქმედობს, რაღასაც აპირობს და უეჭველად რამე უნდა მოხდესო.

**ოზურგეთი**. 6 სექტემბერს გამართულ წარმოდგენის შემდეგ „კვარტეტი" უნდა შეესრულებინათ, მაგრამ ერთმა „არტისტმა" (აი, თვით რომ ჰგზავნის ხოლმე რეცენზიებს თავის თამაშის შესახებ) განაცხადა,—უკაცრავად, ისე გავიჟღინთე ღვინით და იმდენიც ვიღრიალე სამიკიტნოში, რომ ხმაც ჩამეხრინწა და ვერც ფეხზედ დადგომას ვახერხებო.

**იქიდგანვე**. 8 სეკდემბერს, ნაშუაღამევის 1 საათზედ, ისეთი ყიჟინა და თოფის სროლა ასტყდა სასაფლაოს ქვეით, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ეგონებოდა კაცსა; ყოველის მხრით შემოერტყნენ მტრები და მიიტანეს იერიში, მაგრამ ხელში შერჩათ... კალატოზოვის ღორები.

**ბაქო**. რადგან აქაურ გიმნაზიას გასავალი მეტი აქვს შემოსავალზე, მოსამსახურეთ, ჯამაგირის მაგივრად, თამასუქებს ურიგებენ.

**ქუთაისი**. ერთი გაკნეინებული მანდილოსანი გოგოლის ოსიპის ხერხსა ჰხმარობს: ისეირნებს ეტლით, მერმე გააჩერებს ვისმე ნაცნობის სახლთან და გაიპარება ხოლმე მეორე გასავალ კარებით.

**ახალი ბაღი**. ბლომად მოიყარეს თავი სამსახურიდგან გადაყენებულმა «შანსონეტკა-არტისტებმა». კავალრები სიამოვნებით უმასპინძლდებიან შანსონეტკებს შამპანურითა და «კრუშონით», ხოლო ანგარიშის გასწორების დროს ხშირად ბოთლებისა და თეფშების «კრუშენიესაც» ახდენენ.

—

ა. თ—ძე, ს. ჭ—ი, ნ—ი და ვ—ძე „მუხლ-ცრემლიანნი" და „თვალ-მოდრეკილნი" აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა—პირველი და მეორე დაუვიწყარის ასულის, ხოლო მესამენი ძვირფასის ძმის

გურიის ამხანაგობის

„შუამავლის"

გარდაცვალებას. დაკრძალვა დახიშნულია 15 ენკენისთვეს ქელეხი გადახდილი იქნება ქ. ოზურგეთში და ბათომში.

(1—0—2)

რედაქტორ-გამომცემელნი ია ერაძე
გოგია სიკინჭილაძე.

წინადადებანი გაპიანურებულნი არიან, მრავალ სიტყვათაგან შესდგებიან.

წინამდებარე მოთხრობა [illegible] და სხვა ამ გვარნი უეჭველია მეცნიერთა ყურადღებას მიიპყრობენ საქართველოს ეკლესიის [illegible] მწერლობისა. ქართული ცხოვრება და სხ. მატიანენი, რომელთაც დაწვრილებით იხსენიებს X საუკ. არსენ კათალიკოსი თავის წმ. ნინოს ცხოვრებაში, სრულიად ეთანხმებიან ამ მოთხრობის ისტორიულ ცნობებს.

ესე მოთხრობა, თავის ისტორიული ცნობებით სრულიად ეთანხმება მსოფლიო ისტორიასაც. [illegible] (582—602 წ.), [illegible] 8 წელს მეფობდა, 602—610 წ. ერეკლე 610—641.

## წერილი რედაქციის მიმართ.

I

უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

[illegible]

თავმჯდომარე საზოგადოებისა მ. გამრეკელი.
მდივანი [illegible]

II

23 აგვისტოს ქ. გორში [illegible]

ალექსანდრა [illegible]

## დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

12 სეკტემბერი.

**ეკატერინოსლავი.** [illegible] 338 [illegible] 274 [illegible]

**ვარშავა.** [illegible]

**სტამბოლი.** [illegible]

**ლისაბონი.** [illegible] 105 [illegible]

13 სეკტემბერი.

**სტამბოლი.** [illegible]

**ბელგრადი.** [illegible] წილენი არიან ნოვაკოვიჩი, ზოლოტოვიჩი, ლიუბომირსკი და არუდაროვიჩი; დანარჩენ ბრალდებულთ სამხედრო წეს-რიგის დარღვევა ედებათ ბრალად; ის გარემოება, რომ ამ დანარჩენთ ჩაავონეს, თქვენც მიიღეთ მონაწილეობაო, შეამსუბუქებს მათს დანაშაულსაო.

**სოფია.** ოსმალეთის კომისარმა გადასცა ბულგარეთის მთავრობას ხონთქრის ირადე მაკედონელთა დევნულების მოსპობის შესახებ.—მთავრობის გაზეთი „ნოვი ვეკ“-ი გადაჭრით ესარჩლება მშვიდობიანობას.

**დარმშტატი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ავგუსტოსის შვილებით სადამოზე მობრძანდნენ, მიეგებნენ ვაგზალზე დიდი ერცოგი და აქ მყოფნი უმაღლესნი გვამნი. ქალაქში შესვლისას ქუჩაში შეკრეფილი ხალხის სიმრავლე აღტაცებით ეგებებოდა უმაღლეს სტუმრებს.

**ლონდონი.** ბრიტანიის ელჩს დავალება აცნობოს ოსმალეთის მთავრობას, რომ არც პორტამ და არც ბოლგარიამ არ უნდა იქონიონ იმედი ბრიტანიის ქომაგობისა უკეთუ ცხადივ ან ფარულად დაუწყებენ წინააღმდეგობას რეფორმების უკვე ცნობილ პროგრამის განხორციელებას. ბრიტანიის მთავრობის აზრით, ეგ რეფორმები მინიმუმია იმისა, რის მოთხოვნაც შეიძლებოდა; რაც დღემდე ღონისძიებანი იყო მიღებული რეფორმების შემოსაღებად თუნდა მართალიც იყოს, რომ ყოვლად ძნელი და გაჭირვებული მდგომარეობაა დღეს, სრულიად საკმაო არ არის შემდეგისათვის; უნდა მოგვეთხოვნა უფრო სწრაფ და ნამდვილ ღონისძიებათა მიღება იმათთან შედარებით რომელთაც დღემდე ოსმალეთის მთავრობა იღებდა ბოლგარიის მთავრობამაც ზემოხსენებულის შესაბამი ცნობა მიიღო.

**ფილიპოპოლი.** ბოლგარიის მთავრობა განაგრძობს მოლაპარაკებას ოსმალეთის კომისართან დ დაჟინებით თხოულობს საზოგადო ამნისტიას ბოლგართა დევნის მოსპობას მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაეტში, რეფორმების შემმოწმებ კომისიაში წევრთა ნახევარის რიცხვის დანიშვნას ბოლგართაგან, სწრაფად შემუშავებას სკოლისა და ეკკლესიების რეფორმის წესებისას და ყველა გადამწვარ და აკლებულ სოფლის აღდგენას—ბრძოლა და სისხლის ღვრაა კრასნასა და პალანკასა და კრატოვს ახლო არ მოსპობილა.—იამბოლს კვლავ მრავალი ლტოლვილი იყრის თავსა.

**პეტერბურგის ბირჟა** 9 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . . | 93,55 |
| ბერლინში 100 მარკაში . , . . . | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,20 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,40 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 95⅛ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ. 1864 | 443 წვ. გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 336¾ წვ. გაყიდ |
| 5% გირავნ. ფურც. სა- სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . | 287½ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4% ტფილ. საადგ. მამ· ბანკისა გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | 92½ წვ. გაყ. |
| 5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 9400 გაყ. |
| აქციები. ,, ., ,, | 465 წვ. გაყ. |
| ,,კასპიის ამხანაგობისა. . . | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 385 |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 190 წვ. გაყ. |

## გამოსადეგი ცნობები.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—17)




ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა.
აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველა, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.
**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ., ნახევარ ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან **მოსკოვში.** (40—6—19)


**საეკკლესიო მუზეუმი**

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)


ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. მ. ბ. თოფურიას
# სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება
# კბილები
და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.
**იყიდება:** ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—12)

# საკოსმეტიკო მასალა
БЕРТА РИСЪ



მის იმპერატორ. უდიდებულეს კარის ვაჭ

Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugènie თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასწორებად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებს, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საათ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—31)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“
შოთა რუსთაველის
# ვეფხის ტყაოსანი
სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.
წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
1.
# ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურ.ისა ფასი 5 კაპ.
2.
# ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.


**ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი**

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

**კავკასიის მუზეუმი**

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.


ს ა წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს
მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვის ამხანაგობის** ნოვგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.
საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**
ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ· Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—22)

# საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების საუგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს, პ. მანუელიანცს, ღფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ


Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.